

შეზღუდული პასუხისმგებლობის

საზოგადოება

ჯი ენ კომპანი

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შპს ჯი ენ კომპანი

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

აქტივები		2020	2019	2018
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	543,525	606,762	671,079
	1			
არამატერიალური აქტივები	0	7,428	7,428	14,856
სულ გრძელვადიანი აქტივები		550,953	614,190	685,935
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1			
	2	14,359	269,655	76,590
სავაჭრო და სვა მოთხოვნები		499,241	383,993	584,620
საგადასახადო აქტივი		1,610	-	29,181
სხვა მოკლევადიანი აქტივები		72,177	77,785	
მარაგები	1			
	1	178,743	299,955	166,334
სულ მიმდინარე აქტივები		766,129	1,031,387	856,725
მთლიანი აქტივები		1,317,082	1,645,577	1,542,660
მთლიანი კაპიტალი				
კაპიტალი		183,210	183,210	183,210
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		146,724	96,483	189,742
სულ კაპიტალი		329,934	279,693	372,952
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		353,664	314,397	334,479
გადავადებული შემოსავალი		-	-	
სულ გრძელვადიანი ვალდებულება		353,664	314,397	334,479
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		633,446	837,556	780,584
მოკლევადიანი სესხები		-	-	50,896
საგადასახადო ვალდებულებები		-	2,266	
გადასახდელი პროცენტი		-	-	3,749
სხვა ვალდებულებები		38	211,664	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		633,485	1,051,487	835,229
მთლიანი ვალდებულებები		987,148	1,365,884	1,169,708
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		1,317,082	1,645,577	1,542,660

დირექტორი

ლევან ქარდავა

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2020	2019
ამონაგები	5	987,282	824,474
თვითღირებულება		(876,446)	(806,469)
საერთო მოგება		110,836	18,005
კომერციული ხარჯი	8	(30,627)	(17,968)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	7	(56,274)	(46,625)
საოპერაციო მოგება /ზარალი		23,936	(46,588)
		-	
შემოსავალი მიღებული გრანტიდან		-	-
სხვა შემოსავლები	6	6,884	48,782
საპროცენტო ხარჯი		(3,243)	(44,556)
კურსთაშორის სხაობიდან მიღებული მოგება/ზარალი		22,783	(4,631)
სხვა ხარჯები		(119)	(4,757)
მოგება დაბეგვრამდე		50,240	(51,750)
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება		50,240	(51,750)

დირექტორი

ლევან ქარდავა

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელ ი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 1 იანვარი	183,210	189,742	372,952
წმინდა მოგება		(51,750)	(51,750)
გაცემული დივიდენდი		(41,509)	
2020 წლის 1 იანვარი	183,210	96,483	279,693
წმინდა მოგება		50,240	50,240
გაცემული დივიდენდი			-

დირექტორი

ლევან ქარდავა

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	50,240	(93,259)
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:	-	-
გადასახადები	-	-
ცვეთა	-	-
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	-	-
მარაგების გაუფასურება	-	-
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	-	-
ცვლილება ანარიცხებში	-	-
(შემოსულობა)/ზარალი ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან	-	-
(შემოსულობა)/ზარალი საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან	-	-
(შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	-	-
(შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	-	-
წმინდა ფინანსური ხარჯი	-	-
დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი	-	-
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	(111,250)	152,023
მარაგები	121,212	(133,621)
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(415,736)	268,637
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(2,266)	2,266
გადავადებული შემოსავალი	-	-
ანარიცხები	-	-
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		
მიღებული პროცენტი	-	-
გადახდილი პროცენტები	-	-
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(357,800)	196,047
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	63,237	71,745
საინვესტიციო ქონების შეძენა	-	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენა	-	-
საინვესტიციო ქონების შეძენა	-	-
მიღებული დივიდენდები	63,237	71,745
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	-	-
სასესხო ვალდებულების ზრდა	39,267	(74,727)
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	-	-
გადახდილი დივიდენდები	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	39,267	(74,727)
ფულადი სახსრების ზრდა (კლება)	(255,296)	193,065
ფულადი სახსრების საწყისი ბალანსი	269,655	76,590
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება		-
ფულადი სახსრების და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	14,359	269,655

დირექტორი

ლევან ქარდავა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯი ენ კომპანი (საიდენტიფიკაციო ნომერი 419991977) შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2014 წლის ივნისში. საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ზუგდიდი შ. რუსთაველის ქ. 91. ფაქტობრივი საქმიანობის ადგილი არის სენაკი, სადაც მდებარეობს თხილის გადამამუშავებელი საწარმო. კომპანია დაფუძნებულია ფიზიკური პირის ლევან ქუჩოლორიას მიერ. დირექტორი ლევან ქარდავა საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს თხილისა და კაკლის გადამამუშავება და რეალიზაცია როგორც ქვეყნის შიგნით ისე ქვეყნის გარეთ. საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს საქართველოს ფარგლებს გარეთ პროდუქციის ექსპორტზე გატანით და ძირითად ნაწილს ხარჯავს საქართველოში. საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2020 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუკოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოდგენილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მის ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის პირველი იანვარი.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს. მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2 სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.3 სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ როდესაც შესაძლებელი მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ საშუაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

3.5 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე ISO სერტიფიკატს. შეძენილი არამატერიალური აქტივი აღრიცხულია თვითღირებულებით.

3.5 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გაზარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

3.6 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

3.7 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა

3.8 გადასახადები

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა და ბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

გაყიდვებთან დაკავშირებული დასაბგრი ოპერაციების დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია იმ თარიღისთვის რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება: 1. კლიენტებისგან მიღებული ავანსები ან საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები, რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ის ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლების ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი

კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანის რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია როგორც წილობრივის ინსტრუმენტი.

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვლელის, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

შენიშვნა 5

ამონაგები

2020

თხილის ფქვილი	301,691
თხილის გული დაჭრილი	419,994
თხილის გული დაჭრილი მოხალული	130,874
თხილის გული გადასარჩევი	128,770
თხილის გული დამპალი	3,674
თხილის გადარჩევა-გადამუშავება	2,280
	987,282

კომპანიის ამონაგებს საანგარიშგებო პერიოდში წარმოადგენს თხილისა და კაკლის გადამამუშავებით მიღებული პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავლები.

შენიშვნა 6

2020

სხვა შემოსავალი

სხვა არასამეწარმეო შემოსავალი	3,943
თიბისი, 3739961-8068935	2,941
	6,884

სხვა არასაოპერაციო შემოსავალს წარმოადგენს თანადაფინანსების პროექტით მიღებული თანხა.

შენიშვნა 7

2020

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ადმინისტრაციის ხელფასი	28,349
საპენსიო ფონდის ხარჯი	1,100
ქონების გადასახადი გარდა მიწისა	5,795
გადასახადი მიწაზე	261
სამედიცინო ინვენტარის ხარჯი	396
ჰიგიენური საშუალებები	111
სადეზინფექციო მომსახურება	91
ბუნებრივი აირი	1,379
საბუღალტრო მომსახურების ხარჯი	9,100
ცვლელთა და ამორტიზაცია	8,403
ბანკის ხარჯები	1,110
საკანცელარიო ხარჯი	180
	56,274

შენიშვნა 8	2020
კომერციული ხარჯი	
საერთაშორისო გადაზიდვა	27,885
ქვეყნის შიგნით გადაზიდვა	239
საფოსტო გზავნილები	13
დატვირთვის მომსახურება	586
ფიტოსანიტარიული სერთიფიკატის ხარჯი	350
ანალოზის მომსახურების ხარჯი	459
სადეზინფექციო მომსახურების ხარჯი	1,095
	30,627

შენიშვნა 9

ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	მანქანა-დანადგარები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	სულ
ღირებულება 2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	59,463	360,296	425,736	21,580	22,051	889,126
დამატება				105		105
გასვლა						-
ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	59,463	360,296	425,736	21,686	22,051	889,231
დამატება						
გასვლა						
ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	59,463	360,296	425,736	21,686	22,051	889,231
დაგროვილი ცვეთა 2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით		43,025	151,987	12,200	10,836	218,047
ცვეთა 2019		12,846	43,539	4,351	3,686	64,422
ცვეთა 2020		12,846	43,445	3,062	3,884	63,237
						-
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	59,463	291,580	186,765	2,073	3,645	543,525

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

- მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

შენიშვნა 10	2020
არამატერიალური აქტივები	
ISO -სერტიფიკატი	7428

შენიშვნა 11	2020
მარაგები	
თხილის გული გატეხილი	91,759
დაუმთავრებელი წარმოება- გადარჩევა	59,333
წარმოება	10,347
მზა პროდუქცია	317
სამშენებლო მასალა	118
ელექტრო საჭონელი	166
სათადარიგო და დამხმარე ნაწილები	795
შესაფუთი მასალა	15,780
შხამქიმიკატები	125
სპეც. ტანსაცმელი	3
	178,743

შენიშვნა 12	2020
ფული და ფულის ეკვივალენტები	
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	9,946
თიბისი ბანკი ანგარიში GEL	50
VTB -GE13VT0300032655103606 GEL	315
VTB-GE13VT0300032655103606 USD	4,044
თიბისი ბანკი EUR	3
	14,359

13. მსს ფასს -ზე გადასვლა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღიდან. საწარმოს წინა პერიოდებში საერთოდ არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად, მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად არ წარმოქმნილა კორექტირებების აუცილებლობა.

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 24 სექტემბერს

დირექტორი
თარიღი: 24.09.2021

ლევან ქარდავა

